საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ოქროპირიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: ნ. ...

თარიღი: 08.07.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბადრი შონია

„08" ივლისი 2021 წელი ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ თამარ ოქროპირიძის შეფასების დასაბუთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატ თამარ ოქროპირიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^1-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კერძოდ, „კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომამდე საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3-ე მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1-ე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1-ე მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1-ე მუხლის მე-16 პუნქტით/36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3-ე მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს".

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ თამარ ოქროპირიძის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით მასზე მოძიებული ინფორმაციით, მის მიერ წარმოდგენილი განცხადებითა და თანდართული დოკუმენტებით, აგრეთვე დავეყრდენი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და ანალიზს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი სამოსამართლო გამოცდილების მქონეა, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3-ე მუხლის შესაბამისად ფასდება კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
- დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;

- პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
- ფინანსური ვალდებულება;

1.პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის სამოქალაქო ვალდებულებებს, კერძოდ, თამარ ოქროპირიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის დადგენილი ჯარიმები. კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები, თამარ ოქროპირიძეს კორექტულ, პატიოსან, მოკრძალებულ, თავაზიან, მშვიდ, საქმის ერთგულ პიროვნებად ახასიათებენ.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3]-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

გასაუბრების პროცესიდან მკაფიოდ ჩანს, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი.
კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებში და კითხვარებში, მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები, კანდიდატს დამოუკიდებელ, მტკიცე, პრინციპულ, მიუკერძოებელ პიროვნებად ახასიათებენ.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3]-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

გასაუბრების პროცესში კანდიდატი იყო თავდაჭერილი, ზრდილობიანი და კორექტული. მას კარგად აქვს გაცნობიერებული მოსამართლის მარალი როლი და პასუხისმგებლობა. რეკომენდატორები კანდიდატს ახასიათებენ თავშეკავებულ, გაწონასწორებულ, პასუხისმგებლიან, საქმის ერთგულ, ეთიკურ პიროვნებად, რაშიც მასთან ინტერაქციისას უფრო დავრწმუნდი. ასევე უთითებენ, რომ იგი კოლეგებსა და სასამართლოს აპარატის

თანამშრომლებს თავაზიანად და პატივისცემით ეპყრობა. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ თამარ ოქროპირიძის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. მას საანგარიშო პერიოდში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის რამდენჯერმე უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, რომლებზეც დადგენილი ადმინისტრაციული ჯარიმები სრულად და დროულად აქვს დაფარული.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3]-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატი სარგებლობს დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში ისე იურიდიულ წრეებში. რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ კანდიდატი პატივისცემით სარგებლობს როგორც კოლეგებს შორის, ასევე სასამართლო აპარატის თანამშრომლებს შორის. ასევე მას ახასიათებენ გაწონასწორებულ, სამართლიან, გულწრფელ პიროვნებად. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატის ნაკლოვანებებისა და სუსტი მხარეების შესახებ არ მიუთითებენ.
ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია კანდიდატის მიერ განხილული რამდენიმე საქმის შესახებ, მედიამ გააშუქა თამარ ოქროპირიძის ჩარიცხვა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, ასევე უვადოდ განწესება. ასევე ხელმისაწვდომია ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მისი მონაწილეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნული არცერთი ფაქტი არ იძლევა მოსამართლის პიროვნებაში და მის დადებით პროფესიულ რეპუტაციაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3]-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

5. ფინანსური ვალდებულება:

კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატის სახელზე უძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის.
კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება.
მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ არ არსებობს საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:

- სამართლის ნორმების ცოდნა;
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
- წერის უნარი;
- ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
- პროფესიული აქტივობა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას დავეყრდენი უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე მიღებულ ინფორმაციას და ასევე მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზს. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ სამოქალაქო სამართლის საქმეზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება, კერძოდ: - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20--- წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N3/79---, (ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა). გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები სწორად არის გამოყენებული და განმარტებული.

მას წარმატებით აქვს გავლილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კი ირკვევა, რომ თამარ ოქროპირიძეს სრულყოფილი თეორიული ცოდნა აქვს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალში.

საჯარო მოსმენისას კანდიდატმა გამოავლინა ადმინისტრაციული სამართლის ცოდნის საკმაოდ მაღალი დონე, როგორც მატერიალური ისე საპროცესო კანონმდებლობის მიმართულებით. ასევე ჩანს, რომ კანდიდატი კარგად იცნობს საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებებს. კანდიდატმა კარგად ისაუბრა ადმინისტრაციული სამართლის პროცესში სარჩელის უზრუნველყოფითი ღონისძიების გამოყენებაზე. მან განმარტა ადმინისტრაციულ პროცესში უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები: დროებითი განჩინება და გასაჩივრებული ინდივიდუალური აქტის მოქმედების შეჩერება. მან ასევე განიხილა ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შეჩერების საკითხი. კანდიდატმა ასევე კარგად

ისაუბრა კონსტრასიგნაციის ინსტიტუტზე. თამარ ოქროპირიძემ დამაკმაყოფილებლად იმსჯელა კონსტიტუციის პრეამბულის მნიშვნელობაზე, ასევე კონსტიტუციური სამართლისა და სახელმწიფო სამართლის ურთიერთ მიმართებაზე. კანდიდატმა დამაჯერებლად ისაუბრა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაზე, ასევე სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვაზე. მან სწორი სამართლებრივი შეფასებებითა და დასაბუთებით იმსჯელა გამოხატვის თავისუფლებაზე და უფლების შეზღუდვის თავისებურებებზე, ისაუბრა ე.წ. სამწვეროვანი ტესტის შესახებ, აღნიშნულ უფლებასთან დაკავშირებით შეაჯერა ამერიკულ და ევროპული მიდგომა. კანდიდატმა ასევე კარგად ისაუბრა დისკრიმინაციაზე და მის სახეებზე.
თამარ ოქროპირიძემ დამაჯერებლად ისაუბრა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონში ბოლო დროს გატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე.
გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკას. კანდიდატის მიერ განხილულ საქმეზე წარმოდგენილი გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები სწორად არის გამოყენებული და განმარტებული.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. შესაბამისად, 36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით „სამართლის ნორმების ცოდნის" მახასიათებლით თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 19 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება.
აგრეთვე აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა იყო დამაჯერებელი. იგი აზრს ავითარებდა გამართულად, თანმიმდევრულად. კანდიდატს ძირითადად გააჩნია სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე, მისი გადაწყვეტისა და დასაბუთების საკმარისი უნარი.
იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებიდან ირკვევა, რომ თამარ ოქროპირიძე სამართლის სამივე დარგში გამოირჩეოდა ფაქტების სწრაფად გაანალიზებისა და მათთვის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემის უნარით. კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის 6 წლიანი გამოცდილება. თავდაპირველად სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ამჟამად არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე. მისი გადაწყვეტილებები ძირითადად კარგად არის დასაბუთებული.
კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის დაახლოებით 6 წლიანი გამოცდილება. ამჟამად სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. შესაბამისად, 36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის“ მახასიათებლით თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 18 ქულით.

3. წერის უნარი.

მოსამართლის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში მსჯელობა კარგად არის განვითარებული და გადაწყვეტილება დასაბუთებულია.
შესწავლილ მასალაში მნიშვნელოვანი გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა.
რეკომენდატორების მითითებით, კანდიდატი წერისას აზრს დამაჯერებლად და ლაკონურად გადმოსცემს. მისი გადაწყვეტილებები დასაბუთებულია საკმაოდ მაღალი ხარისხით.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კანდიდატის მიერ შედგენილი დოკუმენტები ყოველთვის იყო დასაბუთებული,
ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. შესაბამისად, 36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით „წერის უნარის“ მახასიათებლით თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 19 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი.

კანდიდატმა გასაუბრებისას გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. კანდიდატი მეტყველებს მკაფიოდ, დამაჯერებლად, გამართულად და აზრს გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატს გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. რეკომენდატორებიც უთითებენ რომ კანდიდატს გააჩნია მხარეებთან კომუნიკაციის კარგი უნარი.
იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კანდიდატი საუბრობს გამართულად და დამაჯერებლად, შეუძლია საქმის გარემოებების ლაკონურად და გასაგებად გადმოცემა.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. შესაბამისად, 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით „ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებელით თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში.

რეკომენდაციების გაცნობისა და კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით შემიძლია დავასკვნა, რომ თამარ ოქროპირიძეს აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი. აქვს გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. შეუძლია სტრესულ სიტუაციაში მუშაობა. სასამართლო სხდომების სათანადოდ წარმართავს. რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ მისი ქცევა სასამართლო სხდომის დარბაზში შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტატუსს.
სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ თამარ ოქროპირიძეს საანგარიშო პერიოდში საპროცესო ვადების დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა - 86,2%, ვადის დარღვევით - 13,2%; ამავე პერიოდში, გადაწყვეტილებათა 63,7% მომზადდა ვადის დაცვით, ხოლო ვადის დარღვევით - 36,3%; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ საქმეთა 82,6%, ხოლო შეცვალა 17,4%. საანგარიშო პერიოდში (956 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 1596 საქმე, დღეში საშუალოდ 1,7 საქმემდე. აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს გააჩნია სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მართალია შეინიშნება გარკვეულწილად საპროცესო ვადების დარღვევა, თუმცა წარმოდგენილი დატვირთულობის მაჩვენებლების გათვალისწინებით, ეს გამოწვეული უნდა იყოს მის წარმოებაში არსებული საქმეთა დიდი ნაკადით.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. შესაბამისად, 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით „პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში“ მახასიათებლით თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 13 ქულით.

6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა.

თ.ოქროპირიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო - ადმინისტრაციული სპეციალიზაციით. გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი. ასევე წარმატებით აქვს გავლილი სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსი.
კანდიდატს ასევე გავლილი აქვს შემდეგი სასწავლო კურსები: საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირთა უფლებები - სასწავლო კურსი UNHCR გერმანია; კანონის უზენაესობა - მირაი პროგრამა სასწავლო კურსი. ტოკიო, იაპონია.
წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ ის არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა.

ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3]-ე მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13

პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. შესაბამისად, 36[4]-ე მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლით თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 4 ქულით.

7. პროფესიული აქტივობა

კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, აღნიშნული სემინარები შეეხებოდა შემდეგ თემებს: საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები, ადამიანის უფლებები; სამოქალაქო სამართლის პროცესი; პროფესიული უნარ ჩვევები; საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოს წინააღმდეგ; ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის აქტუალური საკითხები; ხანდაზმულობის ვადები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტური უზრუნველყოფა და სხვა. კანდიდატი ამჟამად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში.
ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი თამარ ოქროპირიძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის მეორე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. შესაბამისად, 36[4] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლით თამარ ოქროპირიძე უნდა შეფასდეს 4 ქულით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ თამარ ოქროპირიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მისთვის მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 92 ქულა.

ხელმოწერა: